



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
 სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030466833640917

04-546/ო

09 / აგვისტო / 2017 წ.

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლის კარიერული განვითარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლის კარიერული განვითარების რეგულირების მიზნით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126¹ მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) თანამშრომლის კარიერული განვითარების წესი და პირობები, დანართის მიხედვით.
2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს, სააგენტოში მოქმედი საქმისწარმოების დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, წინამდებარე ბრძანების დაგზავნა სააგენტოს დირექტორის მოადგილეებისათვის, სააგენტოს სტრუქტურაში შემავალი ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოებისათვის.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მისი ხელმოწერის და ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაინტერესებული პირებისათვის გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
 დირექტორი, საქართველოს შრომის,
 ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
 მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლის კარიერული განვითარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე წესი და პირობები შემუშავებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და არეგულირებს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თანამშრომლის კარიერული განვითარების საკითხებს.

მუხლი 2. სააგენტოს თანამშრომლის კარიერული განვითარების პირობები

1. სააგენტოს თანამშრომლის კარიერული განვითარება გულისხმობს, სააგენტოს სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლის, ამავე სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ უფრო მაღალ ანაზღაურებად თანამდებობაზე დანიშვნას (გადაყვანას).
2. კარიერული განვითარება შეიძლება სააგენტოს მხოლოდ იმ თანამშრომლის, რომელიც სააგენტოს სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დანიშნულია კონკურსის წესით.
3. კარიერულ განვითარებას არ ექვემდებარება სააგენტოს ის თანამშრომელი:
 - ა) რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური პასუხისმგებლობა და მისი შეფარდებიდან არ არის გასული 1 წელი. (სააგენტოს დირექტორი უფლებამოსილია, დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირს ვადაზე ადრე მოუხსნას დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ მას არ ჩაუდენია ახალი დისციპლინური გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა თანამშრომელმა.);
 - ბ) რომელიც დანიშნულია გამოსაცდელი ვადით;
 - გ) რომლის სააგენტოში დასაქმებიდან არ არის გასული 6 თვე;
 - დ) რომელიც მიღებულია შტატგარეშის ან/და დამხმარე თანამშრომლის (მძღოლი, დამლაგებელი, დარაჯი) სტატუსით.

მუხლი 3. სააგენტოს თანამშრომლის კარიერული განვითარების წესი

1. კარიერული განვითარების საფუძველი შეიძლება იყოს:
 - ა) თანამშრომლისთვის, რომელიც დასაქმებულია სააგენტოს ცენტრალურ აპარატში, სტრუქტურული ერთეულის (დეპარტამენტი) სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციაზე (გარდა, უფროსის და მოადგილის) – კომპეტენციის ფარგლებში, ამ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი (კურატორი დირექტორის მოადგილის თანხმობით) ან სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილება;
 - ბ) თანამშრომლისთვის, რომელიც დასაქმებულია სააგენტოს ცენტრალურ აპარატში, სტრუქტურული ერთეულის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილის პოზიციაზე – კომპეტენციის ფარგლებში, ამ სტრუქტურული ერთეულის კურატორი დირექტორის მოადგილის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი ან სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილება;

გ) თანამშრომლის, რომელიც დასაქმებულია სააგენტოს ცენტრალურ აპარატში, სტრუქტურული ერთეულის (დეპარტამენტი) უფროსის პოზიციაზე – კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილება;

დ) თანამშრომლის, რომელიც დასაქმებულია სააგენტოს ცენტრალურ აპარატში, სტრუქტურული ერთეულის (დეპარტამენტი) სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციაზე და რომლის უშუალო კურატორობასაც ახორციელებს სააგენტოს დირექტორი – კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილება;

ე) თანამშრომლის, რომელიც დასაქმებულია სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოში, სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციაზე (გარდა, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის, სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის უფროსის და მოადგილის) – კომპეტენციის ფარგლებში, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ან სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის უფროსის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი ან სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილება;

ვ) თანამშრომლის, რომელიც დასაქმებულია სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის (თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრი, სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი) უფროსის ან უფროსის მოადგილის პოზიციაზე – კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილება.

2. სააგენტოს თანამშრომლის კარიერული განვითარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტოს დირექტორს უფლება აქვს, მოითხოვოს კარიერულ განვითარებას დაქვემდებარებული პირის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში ან/და გაესაუბროს მას.

3. სააგენტოს დირექტორს უფლება აქვს, უარი თქვას თანამშრომლის კარიერულ განვითარებაზე.

მუხლი 3. სააგენტოს თანამშრომლის კარიერული განვითარების გაფორმება

სააგენტოს თანამშრომლის კარიერული განვითარების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.